ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტი" N(N)LE College " H O RIZ ONTI"

ოზურგეთი „18" ნოემბერი 2021წელი

# ბრძანება№ 04-185

## ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი"პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" წესდების მე- 4-ე მუხლის ,,თ"პუნქტის , ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" ძირითად სასწავლო კორპუსში რუსთაველის ქუჩა N8 და გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები (დანართი 1)

**2.**ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,, ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი"პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ" დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N04-88 ბრძანება.

**2.**.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

**3.** დაევალოს საქმისმწარმოებელ ლელა ბაიაშვილს უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

**4.**ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ.ოზურგეთი,ი.სიორიძის ქუჩა #14 ,მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში .

**დირექტორი :** ნ ჯ **ნანა ჯოლია**

237079497

**ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**მუხლი 1. შესავალი**

1.1ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტი'' იცავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, უქმნის მათ უსაფრთხო გარემოს, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს ხარისხიანი განათლების მისაღებად.

**1.2**კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით, რაც გულისხმობს: - უსაფრთხო და დაცულ შენობებს; - უსაფრთხო და დაცულ ეზო-გარემოს; პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვას ,რისთვისაც არსებობს ხანძარსაწინაამღდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები,ხანძარსაწინაამღდეგო ინვენტარი;ცეცლმაქრები განთავსებულია სამივე სართულზე საევაკუაციო გეგმაზე მითითებული პირობითი აღნიშვნების შესაბამისად. თითოეულ ცეცხლმაქრთან გამოკრულია გამოყენების ინსტრუქცია. დაცულია ცეცლმაქრების გამოყენების ვადები. კოლეჯის მიერ შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სამივე სართულზე ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტის '' ძირითად სასწავლო კორპუსში ოზურგეთი რუსთველის ქუჩა N8.პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო სისტემა 16 ვიდეოკამერა, მათ შორის 12 შიდა გამოყენების ფერადი ვიდეო კამერა, 4 გარე გამოყენების კამერა ინფრაწითელი განათებით.ჩოხატაურის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე დამონტაჟებულია ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა ;ევაკუაციის გზის მანათობელი მაჩვენებლები;ავარიული განათები; ფართი უზრუნვეყოფილია სახანძრო ინვენტარით,ხანძარსაწინაამღდეგო გამაფრთხილებელი ამკრძალავი ნიშნებით; კოლეჯის შენობაში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები (4 ცალი) კოლეჯში განთავსებულია შიდა და გარე გამოყენების უსაფრთხოების კამერები(სულ 16კამერა) გამოკრულია შესაბამისი ინსტრუქციები.

**1.3**ტექნიკით,უწყვეტი ინტერნეტით ,ავეჯით ,აჭურვილი ,სტუდენტური სივრცის არსებობას ; - 24-საათიან განათებას; - შენობის ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფას სეზონების მიხედვით; - ნათელ, პროექტორებით , ავეჯით ,მატერიალური რესურსით,კონდიციონერებით აღჭურვილე აუდიტორიებს ; - ბიბლიოთეკას, უზრუნველყოფილს პროფესიული პროგრამების შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით;

-ავეჯით,კონდიცირების სისტემით აღჭურვილ სასწავლო კომპიუტერულ კლასებს, ადაპტირებულ გარემოს შშმ პირთათვის; - პირველად სამედიცინო მომსახურების ოთახს ;მედიის მომსახურებას; - მთელი კოლეჯის სივრცის სისუფთავის დაცვას; - მოწესრიგებულ სველ წერტილებს, წყლის უწყვეტი მიწოდებას.

**1.4** კოლეჯი მოწოდებულია სისტემატურად იზრუნოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებაზე.

## მუხლი 2. სტუდენტთა პროფესიული და კარიერული მხარდაჭერა

**2.1**. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურებას ; -

**2.2**-პროფესიულ სტუდენტთა მიერ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა; -

**2.3**. პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების, პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და პროფესიულ სტუდენტებს შორის გავრცელება;

**2.4** პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა მათი ინფორმირებით დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, გამოცხადებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების შესახებ;

**2.5** პროფესიულ სტუდენტთა დახმარება საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში პასუხიმგებელი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი ;

**2.6.** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა - პასუხიმგებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალსიტი;

**2.7.** პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ორგანიზება, მათი მოლოდინების, პრობლემების, წინადადებების, მოსაზრებების ანალიზის მიზნით.

**2.8**პროფესიულ სტუდენტთა კანონით დაშვებული მონაცემთა ბაზის შექმნა მისი მუდმივი განახლება.

**2.4**.ინფორმაციის მიწოდება დამსაქმებლებისთვის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების შესახებ დასაქმების მიზნით;

**2.5.**მობილობის წესით გადმოსულ პროფესიუ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის შესაძლებლობა.

**2.6.**პროფესიული სტუდენტებისთვის საინფორმაციო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოწყობა დამსაქმებლების მონაწილეობით;

**2.7.**კოლეჯი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიულ სტუდენტთა /კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.

## მუხლი 3.ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის შესაძლებლობა

**3.1**კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა ;

**3.2.**კოლეჯი ითვალისწინებს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, როგორშიც განსხვავებული მოთხოვნების და სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი, მიუხედავად მისი სოციალური, ეთნიკური, კულტურული კუთვნილებისა თუ ინდივიდუალური მახასიათებლისა, მოტივაციის, უნარის, სწავლის სტილისა და რიტმის განსხვავებულობისა, მიიღებს ხარისხიან განათლებას, მათთან ინდივიდუალური მუშაობით და შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

**3.3**. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა: ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით კოლეჯი გამართულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში;.

**3.4.**პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ იკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და სსმ პირის ასისტენტის მომსახურებით.

## მუხლი 4 პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების სისტემის და შეფასების შედგების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ

**4.1**მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელები /პროგრამის ხელმძღვანელები ახორციელებენ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას შეფასების სისტემის და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

**4.2** პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დამატებითი კონსულტაცია გაიაროს შეფასების სისტემასთან და შეფასების შედგების გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის მენეჯერთან /სასწავლო და ადმინსტრაციული პროცესების მენეჯერთან გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე.

**5.მხარდაჭერის სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა /კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა**

**5.1.** კოლეჯი სპეციალური კითხვარის საშუალებით ახორციელებეს მხარდაჭერის სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა /კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევას კვლევასა ახორციელებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ,გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი სპეციალური კითხვარების გამოყენებით(დანართი კითხვარის ფორმა ) ;

**მუხლი 6.გარდამავალი დებულებები**

**6.1**კოლეჯი პროფესიული სტუდენტის ფაქტობრივი საჭიროებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მხარდაჭერის ღონისძიებების მიწოდებას რომლიც შეძლება არ იყოს ასახული წესში .

**6.2.**საკითხები რომლებიც არ არის ასახული წესში რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი**

7.1.ამ წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტით -ბრძანებით.

7.2. ამ წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით-ბრძანებით.

**დირექტორი : ნანა ჯოლია**

**დანართი : მხარდაჭერის სერვისებით პროფსიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარის ფორმა;**

**1. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვით კოლეჯში?**

ძალიან კმაყოფილი ვარ , კმაყოფილი ვარ ,ნეიტრალური ვარ, უკმაყოფილო ვარ ,ძალიან უკმაყოფილო ვარ , სრუალიად უკმაყოფილო სრულიად კმაყოფილი

**2. რამდენად უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობთ თავს კოლეჯის შენობაში?**

სრულიად დაცულად ; მეტნაკლებად დაცულად;სრულიად დაუცველად ;

**3.რამდენად იოლია თქვენთვის სასწავლო დაწესებულების დირექციასთან /ადმინისტრაციასთან შეხვედრა?**

ძალიან იოლია ;იოლია ;რთულია ;ძალიან რთულია ;

**4.რამდენად გულისხმიერად ეკიდებიან თქვენ სასწავლო-საგანმანათლებლო პრობლემებს კოლეჯის თანამშრომლები და გეხმარებიან თუ არა მათ გადაჭრაში?**

სრულიად კმაყოფილი ; ნაწილობრივ უკმაყოფილო; სრულიად უკმაყოფილო ;

**5. იღებთ თუ არა ინფორმაციას პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსის, პროექტის, პროგრამების შესახებ?**

კი ; არა, გარკვეული პერიოდულობით; იშვიათად;

**6. სარგებლობს თუ არა კოლეჯის დირექციისგან/ადმინისტრაციისგან პროფესიული სტუდენტების ინიციატივები მხარდაჭერით?**

კი ; არა ; იშვიათდ;

**7. ახორციელებს თუ არა კოლეჯი დასაქმების ხელშემწყობ ღონისძიებებს?**

კი; არა; იშვიათად;

**8. სარგებლობთ თუ არა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და კმაყოფილი ხართ თუ არა მისი განხორციელებით?**

ვსარგებლობ და კმაყოფილი ვარ; ვსარგებლობ და არ ვარ კმაყოფილი; არ ვსარგებლობ.

**9.ახორციელებს თუ არა კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევას ?**

კი; არა; იშვიათად

**10. ხართ თუ არა ინფორმირებული შეფასების სისტემის და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ?**

სრულად ვარ ; არასრულად ვარ;საერთოდ არ ვარ;

**11. რის გაუმჯობესებას გვირჩევდით?** --------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**დირექტორი: ნანა ჯოლია**